ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№3, 1 აპრილი, ხუთშაბათი, 2021 წელი

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, პურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო

თამარ!

საუკუნეებს შემოვრჩები, ვიცი, მე, დიდხანს,
მეფე თამარი – ქართლის მესია და მტრების რისხვა.
და დავმკვიდრდები საქართველოს ლეგენდად, მეცა
მე, კაბის ნაცვლად, ხშირად ჯაჭვის პერანგი მეცვა.
რომ ვერასოდეს დამაჩოქეს, თუმც,სცადა ბევრმა,
მე უძლეველი მეფე-ქალის სახელი მერქვა.
შეხედეთ გვირგვინს, საზეიმო მეფის სამოსელს,
მაგრამ თუ იცით, გულს ვიტევდი ფიქრებს რაოდენს! –
ფიქრს სამამულეს, ფიქრებს საღვთოს, ფიქრებს სამეფოს,
მეუღლის, დედის და ოჯახზე ფიქრებს, საერთოდ...
რა მძიმე იყო ჯვარი მეფის და, თან, დიაცის,
ნაზი, სათნოსი, ტახტზე მჯდომის თითქოს ზვიადის.
იცოდა, თუმცა, აღზევება ტახტმა მაღალმა,
მაგრამ მე უფრო ვმაღლდებოდი ჩვილის აკვანთან...
და ასე დავრჩი მეფე-ქალი ლეგენდად, ლექსად,
მაგრამ ქალი და დედა ვიყავ უპირველესად!

ლინა ბარათაშვილი

* * *

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა,
სამღრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამაპაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
...მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!

ილია ჭავჭავაძე

ქეთევან!

რვალის ქვაბი მოეთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ზე მიჰქონდა, ღრუბლისაკენ, ცეცხლი ქარსა,
ქროდა ქარი...
თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
ტინად იდგა დედოფალი...
თმა დაშლოდა, თავი ნაზად დაეხარა,
სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა...
ლოცულობდა, როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:
,,არასოდეს!" – დაფდაფებს ჰკრეს განარისხთა!
ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან,
ცხელი რკინა, საქართველოს გულს რომ კვეთდა!..
რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
ღიღინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
ქროდა ქარი...
ცეცხლით წვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა,
უდრეკ იყო დედოფალი!

ანა კალანდაძე

* * *

საუკუნეებგამოვლილი,
მე, ის ქალი ვარ,
მტერს და მოყვარეს
რომ ხვდებოდა
ხმლით და ფიალით,
აკვანს არწევდა,
კალოს ლენდა,
მიწას ფარცხავდა,
ვერ აშინებდა
მოდარაჯე მტერი, ტიალი...
მე ის დედა ვარ,
ვინც სამშობლოს
გმირებს უზრდიდა,
გაჭირვებულებს აპურებდა,
თბილ ხელს უწვდიდა...
სინდის-ნამუსის, მამულის და
რწმენის დამცველი,
ხან იას ვგავდი,
ხან კიდევაც ვდედაკაცობდი.
მოყმის დედა ვარ,
მოსამძიმრე ვეფხვის დედისა,
არაგველების, ცხრა ძმისა და
კიდევ ბევრისა...
ეს მე ვარ, დედა, –
ქართლის დედა,
დამაქვს ის ვალი:
ნინოს, თამარის, ქეთევანის
შთამომავალის!
მე მაბარია ერის გენი,
და მიძგერს გული
კვლავ სამშობლოსთვის...
ვარ ერთგული, თავდადებული!..

ჟუჟუნა ცენგირაშვილი-
ქვრივიშვილი

* * *

შვილებისათვის დედა
ქარიშხალს აქცევს სიოდ,
პირადს დაადებს ტაბუს,
ჩოქვად დადგება სიონს.
ირგვლივ ატეხილ გრიგალს
მშვიდად მოარგებს ლაგამს,
გულის საკეტში ამწყვდევს
კარზე მოვარდნილ ვარამს.
შეშლილ საწუთროს გზაზე
საცალფეხოთი ივლის
ქარაფის პირზე მდგარა
ბევრჯერ გამტყდარი ძილით...
გაუმხელელი სევდით
ჰგავს მოშრიალე ტირიფს,
ზღვას დააწყნარებს ლოცვით,
კაცს კი – უბნობით, ტკბილით...
თუნდაც, პატარა მიწურს
სიხე-სიმაგრედ აქცევს,
ქალია სიყვარულის,
სიცოცხლის შობის სახე...

ნუნუ ტაბატაძე

* * *

მიყუჩდა დღე და
შეიმოსა ღამის სამოსით,
დღეცა და ღამეც
სულ ერთია
ამ სამყაროსთვის...
ჩამცხრალი ვნება
კვალზე გაჰყვა
ჩამქრალ იმედებს,
შენდამი ტრფობა
ისევ კრთის და
ისევ იელვებს...
კვლავ ვნების ჟინი
არღვევს წყდიადს
და ბნელს ირიდებს...
შენი სული კი,
ვარსკვლავივით
წყდება ცის კიდეს!

მაკო მაჭარაშვილი

ქალი სამყაროს

ბარბარე ჯორჯაძე – (1833-1895)
პუბლიცისტი, დრამატურგი და ლეგენდარული კულინარი.
„ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და გამავრცელებელი ჩვენში თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცავად თოფ-იარაღზე იყვნენ აყუდებულნი?“

ეკატერინე გაბაშვილი – (1851-1938)
მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, პედაგოგი, სოციალურ უთანასწორობასა და საზოგადოებაში არსებულ განათლების პრობლემატიკის წინააღმდეგ მებრძოლი. ,,ქალთა წრის“ შექმნის ინიციატორი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.
,,სიხარულით მიიყვანეთ თქვენი შვილები სკოლაში. სწავლა დიდი სამკაულია კაცისათვის“.

კატო მიქელაძე – (1878-1942)
ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი. ლობირებდა ქალთა პოლიტიკაში ჩართვას.
მისი ლიდერობით დაარსდა ქალთა პოლიტიკური კლუბი ,,ქალთა ლიგა“. გამოსცემდა გაზეთს ,,ხმა ქართველი ქალისა“.

მარო მაყაშვილი – (1902-1921)
ბავშვობიდანვე დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრებაზე მეოცნებე, 19 წლისა მოხალისედ ,,წითელ ჯვარში“ მოწყალების დად ჩაეწერა.
,,მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სრულიად ეღირსება ამ ბედშავ ერს თავისუფლება. მაშინ იქნება აუწერელი ბედნიერება. მაშინ მზეც მხიარულად გაანათებს და გაათბობს არეს!..“

გვირგვინი... ქალი...

ელენე ყიფიანი – (1855-1890)

ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი, მთარგმნელი და მსახიობი, „ქართველ ქალთა ამხანაგობისა“ და ალმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი.

დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას.

ელენე ყიფიანის სახელს უკავშირდება სოფ. ქვიშხეთში პირველი თეატრალური წარმოდგენის გამართვა.

ნინო ყიფიანი – (1877-1920)

დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, პირველი ქართველი იურისტი ქალი, პოლიტიკოსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, გარკვეული წლები ცხოვრობდა ქვიშხეთში.

ბარბარე ყიფიანი – (1879-1965)

დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, ევროპაში მოღვაწე პირველი ქართველი ექიმი-ფიზიოლოგი, მეცნიერი, მრავალი ფუნდამენტური სამედიცინო ნაშრომის ავტორი და საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი, ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე მინიჭებული აქვს ოქროს მედლები.

ბარბარე ყიფიანის დამსახურებით ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ უმაღლესი განათლება ევროპის უნივერსიტეტებში მიიღო.

ეფროსინე ყიფიანი – (1839-1913)

დიმიტრი ყიფიანის უფროსი ძმისშვილი, ერთ-ერთი პირველი მსახიობი და თეატრალი ქალი, მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლების ქართული თეატრის მესვეური და დიდი მოამაგე, ქუთაისის თეატრის დამაარსებელი.

ნინო ტატიშვილი – (1867-1937)

დიმიტრი ყიფიანის რძალი, პუბლიცისტი, მწერალი და მთარგმნელი. დიმიტრი ყიფიანის სახლი ქვიშხეთში, სადაც თავად ცხოვრობდა, ნინომ, სიცოცხლეშივე გადასცა საქართველოს მწერალთა კავშირს.

მოდის მირკანი

შემოდის თრთოლვით,
ზოგჯერ – ხეთქებით
და ღვთიურ ფერებს
მოაფრიალებს...
მოაქვს სუნი
ნამიან მიწის,
ლორთქო ბალახის,
თეთრი ტყემლების.
თან მოიყოლებს
ენძელების, ყოჩივარდების
გუნდთა არომატს...
მოდის მირკანი –
ღვთიურ ნებით,
მიწის მადლით,
მოდის ძლიერი და სახიერი...
არაფერს არ გთხოვს,
მხოლოდ შეხედე,
მხოლოდ შეიგრძენ
ეს სიდიადე...
შემოქმედო, დაუსაბამო,
მიწავ ძლიერო,
მზის თბილო სხივო,
ჩუმად მეფობთ,
უხმოდ ხმაურობთ...

ზეინაბ ხმიადაშვილი

ემიგრანტ ქალს

უღელში ცალად შებმულხარ,
წვიმა არის თუ ქარი,
ცხოვრების ჭაპანს ეწევი
ფერიასავით ქალი.
ვინ იცის, ჩემო პატარავ,
პატარა ქვეყნის ქალო,
რამდენჯერ მოგწყურებია
სამშობლოს ცივი წყარო...
რამდენჯერ მოგნატრებია
შვილის თვალებზე კოცნა,
ფიქრებში მოგშველებია
მშობლის საფლავთან ლოცვა...
რამდენჯერ მოგსურვებია
საყვარელ კაცის მზერა,
რამდენჯერ ჩუმად გიგრძვნია
მშფოთვარე გულის ძგერა...
რამდენჯერ, ცისკენ მომზირალს,
ვედრებით გითქვამს – ღმერთო!..
შენ, ერთადერთო იმედო,
რომ ვერასოდეს ვერ გთმობ...
ყველა თავის ჯვარს ატარებს,
დიდი და მცირე ბრალით,
წმინდა მიწაზე, ღირსებით,
არ გტოვებს დედის ვალი...
უღელში ცალად შებმული,
წვიმა არის თუ ქარი,
ცხოვრების ჭაპანს ეწევა
ერთი პატარა ქალი...

ეთერი გონგლაძე

* * *

იავნანა –
სულთა თანა,
გულთა თანა,
თვალთა თანა...
იავნანა,
იმისთანა –
ვარდისთანა,
იისთანა,
მამის თვალი,
დედის ქნარი,
იავნანა,
ტურფა ქალი.
დე, იზარდოს,
დე, იხაროს,
დე, დამკვიდრდეს
ჩვენთა თანა,
საქართველოს სადიდებელ
ჰიმნად მღერის
იავნანა,
სადაც ასე მოინათლე,
დაილოცოს
ის ქვეყანა.

კლარა გელაშვილი

იუბილარი

მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელს, ქ-ნ მზია ხეთაგურს 14 მარტს 75 წელი შეუსრულდა.

ქ-ნი მზია ხაშურის ლიტერატურული საზოგადოების გულითადი მეგობარი და ხშირი სტუმარია. გაზეთი ,,ლიტერატურული ხაშური" ულოცავს მას საიუბილეო თარიღს და დღეგრძელობასა და სულის მხნეობას უსურვებს.

მზია ხეთაგური იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი აზროვნებით, ხედვითა და დამოკიდებულებებით (არა მარტო ლიტერატურისადმი) ყოველთვის უსწრებენ დროს. ამიტომაც არის მისი შემოქმედება გამორჩეული და თვითმყოფადი, რომელსაც პიროვნული ქარიზმაც ავსებს.

ამ სამყაროს ფესვები კი ცხინვალის წიაღში იწყება...

საინტერესოდ მრავალფეროვანია ქ-ნი მზიას შემოქმედების არეალი: მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დრამატურგი (მათ შორის, საბავშვო პიესები და მოთხრობები), თეატრმცოდნე, მუსიკოსი და რედაქტორი, რომლის მკაცრი, მაგრამ ობიექტური და გემოვნებიანი კრიტიკა საკუთარი სტილის პოვნასა და შეცნობაში ეხმარება როგორც დამწყებ, ასევე, გამოცდილ პოეტსა და პროზაიკოსს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გასული საუკუნის 90-იან წლებში მზია ხეთაგურის მძაფრი და აქტიური გამოსვლები, სადაც მუდამ ხაზგასმით აფიქსირებდა მის ობიექტურ პოზიციას ყველა იმ მოვლენის მიმართ, რომელიც შუღლსა და მტრობას აღვივებდა საქართველოში, ე.წ. "ქართულ-ოსური კონფლიქტის" დროს. მაშინდელი პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მისი კრიტიკული წერილები მშვიდობის მომხმობი და, იმავდროულად, გამომაფხიზლებელი ზარი იყო ორ ერს შორის.

მზია... მშფოთვარე, ბობოქარი სულით, ხან სევდით მოსილი, ესთეტიკით გასხივოსნებული, ზოგჯერ არაესთეტიურობას შეჭიდებული, ლექსებში მხოლოდ საკუთარ თავთან, საკუთარ ცოდვებთან მებრძოლი...

ბევრს არ უყვარს იგი მისი პირდაპირობისა და შეუვალი პოზიციის გამო... თუმცა, ის ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი, რომლითაც საქართველოს პატრიარქმა მზია ხეთაგური დააჯილდოვა, ყოველგვარ შეკითხვას სცემს პასუხს...

მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია

ბედნიერების რეცეპტი არ არსებობს. ყოველი ადამიანი თავისებურად გრძნობს ბედნიერებას. ყველა ასაკში შეიძლება ადამიანი ბავშვივით ბედნიერი იყოს, ოღონდ ამასაც ნიჭი სჭირდება, უნდა შეგვეძლოს პატარა სიხარულმა დიდი სიხარული მოგვგვაროს... ადვილად არ უნდა დავყვეთ რეალობის სიმკაცრეს და თავადაც გამოვიჩინოთ ის ლმობიერება, რაც ადამიანთა სულს ასე სჭირდება.

ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ბავშვობაა. ეს არის მთელი სამყარო თავისი განუმეორებელი ტკივილებითა და სიხარულით. ბავშვობის დასრულებისას იწყება ,,ამქვეყნიური" რეალობა, სადაც ,,იმქვეყნიური" ბავშვობა გვეხმარება, რომ ჭკუიდან არ შევიშალოთ ამდენი სიცრუით, უზნეობით, ყოველდღიური უმძიმესი ტვირთით...

* * *

არასოდეს მქონია სიკვდილის ან ფიზიკური ტკივილის შიში. თუმცა, უამრავი ტკივილი გადამიტანია... მეშინია ერთადერთი ძალის, რომელსაც ბნელი ძალა ჰქვია... მეშინია მდაბიო ადამიანის, ბრბოდ ქცეული ადამიანების ფანატიზმის და იმ კითხვებზე პასუხის გაცემის, რომელზედაც პასუხი არ მომეპოვება.

და კიდევ: სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა...) ჩემთვის სტიქიურად მოქმედი ადამიანების მიერ მოტანილი უბედურების ტოლფასია.

* * *

დედის სიკვდილმა, უფრო სწორად, სიკვდილის მიზეზმა ყველაზე მეტად მატკინა გული... არასოდეს მქონია დედასთან სტერეოტიპული დედა-შვილობა. ჩვენ ერთმანეთისთვის არ გვეცალა – ისიც ქვეყნისთვის, ადამიანებისთვის სასარგებლო საქმეებით იყო გატაცებული და მეც. როცა დედაჩემი ლტოლვილად იქცა, ის არ განიცდიდა იმას, რომ სახლი და ნივთები დაკარგა ცხინვალში... არც ტყვიის და გაჭირვებისა ეშინოდა. მან ვერ აიტანა ის, რომ ყველასათვის საჭირო ქალი – მრავალი წლის მანძილზე, მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ოლქის მთავარი პედიატრი და უამრავი ბავშვის გადამრჩენელი, ლამის გმირად შერაცხული, უეცრად უსარგებლო, უნიადაგო ადამიანად იქცა...

ამოვახველებ – ამომყვება ცხინვალზე სევდა...
ამოვისუნთქებ – აფხაზეთი მადგება გულზე...
ამოვიკივლებ – ვკარგავ, ვკარგავ, კვლავ ვკარგავ დედას...
ამოვენთები... და გამქრალ მზეს ბრმასავით ვუმზერ!

* * *

შეიძლება დაფასებული იყო, მაგრამ არ, ან ვერ შეგაფასონ.

ნუ დავაყენებთ ცრემლების მორევს,
ნუ გაგვიტაცებს სიცრუის ზღვა...
ხელი ჩაჭიდე ნიჭიერს, თორემ
უნიჭო – თავად გაიკვლევს გზას!

* * *

პატივმოყვარეობა – უთავმოყვარეობაა!!!

* * *

ბევრჯერ მსმენია, სიცრუეში ფულს რომ უხდიან,
მაგრამ უხდიდნენ სიმართლეში, არა მსმენია!

* * *

მე მგონია, ღირსების ერთ-ერთი სახე ისაა, უღირსის გვერდით დგომა და მისი ღირსეულ კაცად მონათვლისა რომ შეგვრცხვება.

ღირსებას ვერ ვგრძნობ, ვერც დინებას სისხლით მაჩაბლის!
ჯაყოს რა უჭირს – ლუკმად ვიქეც თავად იუდის!
დამიმეგობრდნენ უწიგნურნი, ჯიბგირ-ლაჩარნი
და აღარც ვნუხვარ, რადგან... იქნებ დავმდაბიურდი?

* * *

მე მუდამ ვცხოვრობდი და დღესაც ვცხოვრობ ყოველგვარი მიზნის გარეშე – ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ წუთს ვაკეთებ იმას, რასაც მოითხოვს აუცილებელი საქმე და რაც მსურს.

* * *

მხოლოდ ღმერთს აქვს უფლება, ვის აპატიოს და ვის არა...

მე შემიძლია მეწყინოს რაიმე, გული გამისკდეს, სულიც კი დამიცარიელდეს... მაგრამ სიძულვილის გრძნობას არასოდეს განვიცდი. მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია.



სიბერის გაკვეთილები

სიბერე, სიბერე ასწავლეგ მოზარდებს,
განაგრძეგ სწავლება მანამდე, ვიდრე...
ასწავლეგ, წინასწარ რომ უნდა მოამზადებს
სხეული, როგორც სულს უნდა მისდევდეს!
ასწავლეგ ისე, ვით პირველი ნაბიჯი,
რომელიც მუსრია, ლაჩრისკენ თუ იკლის...
ასწავლეგ ფერები ლაჟვარდს და ნისფერს,
ასწავლეგ მოსმენა, მოგმენა, დუმილი...
ასწავლეგ ყოველ-მუნჯთა ენა და სიბრძაკე
და ხელის ცახცახით პირველის კალიგრაფია,
ასწავლეგ, რაღაცაც მერე ვერ ფიდევენ
სიბერის საჯარეგ, — მგზრეგს ალმაცერად!
ბუჯიად ასწავლეგ ეს გაკვეთილები,
რომ ძვირად ყლიდეგ ქვის მოგერო ნაფეხურ..
ასწავლეგ, ასწავლეგ, რომ მაინ ზვილებიგ
ვერ გაუძლებიან დროების ქარტეხილს!
მოუნდეგ გამოცდა სიბერის საკანში,
რომ თ ღაკვაკვინონ წლებისკენ ბუჩქილებს...
ასწავლეგ სიმღერა, ასწავლეგ თამაში...
ბავშვობით – სიბერე ასწავლეგ ბოლო ზვილებს!

ქალია ნეიაბერეული